MES 1 24 0000010090

09/01/2024

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19. 12. 2023
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
18. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ნინო შეყილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეიმურაზ კეჟერაძე		ბხსუ-ს რეტორი, პროფესორი	I
2	ქეთევან ვაჩეიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I

3	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, "ხელოვნებათმცოდნეობის" პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	სოფო თავაძე		განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
5	ინგა ხალვაში		რექტორის მოადგილე	I
6	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	პრორექტორი	II
7	თამარ ქობულაძე		სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
8	სოფიო მორალიშვილი		ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	სალომე გოგბერაშვილი		ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	ნინო წიქვაძე		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	II
11	ნინო მხეიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	გიორგი გვახარია		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	მარინა ადამია		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	რეზო კიკნაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	თეო ხატიაშვილი		პროფესორი	III
16	ივანე ხუციშვილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	ნატალია თვალჭრელიძე		ილიაუნის თეატრის დირექტორი	III
18	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	III
19	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III

20	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
21	თამარ გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	III
22	ზვიად ზალიკიანი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	III
23	ნათია ბურჯანაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	III
24	სალომე დალაქიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	III
25	ყარამან ქუთათელაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი, პროფესორი	IV
26	გია ჩლაიძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
27	ნანა ქუთათელაძე		პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
28	ნათია ქოიავა		ასისტენტ პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	კოსტას მანტზალოსი (Costas Mantzalos)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნატალია ტურაბელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I და III
4	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი (Nihada Delibegović Džanić)	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ კილანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	რევაზ ტაბატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ანა ყიასაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

9	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ალექსანდრე კალანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	რიმა პავილიონიენე (Rima Pavilionienė)	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თამარ ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	სოფიო თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	ანდრეას რეტოვენგერი - Andreas Reto Wenger	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ლელა კიკნაველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	გიორგი ნიკურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
19	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,კინომცოდნეობის" სამაგისტრო და ,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის"ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,კინომცოდნეობის" სამაგისტრო და ,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტის, კოსტას მანტზალოსი განცხადებით, ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 27 სექტემბერს. ვიზიტისას ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის მენეჯმენტს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებმაც გამოხატეს დაინტერესება პროგრამის მიმართ.

ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მათთვის დამაკმაყოფილებელი იყო სწავლების მეთოდები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ქმედებები. პროგრამა სტანდარტებს სრულიად შეესაბამება, გარდა პირველი და მეორე სტანდარტებისა, რომლებიც შეფასებულ იქნა, როგორც მეტწილად შესრულებული. გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ექსპერტის მოსაზრებით გააუმჯობესებს პროგრამას. გაცემული რეკომენდაციები ძირითადად შეეხო სწავლების სტრუქტურასა და შინაარსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მაია ჭიჭილეიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. წარმომადგენელმა ისაუბრა 1.4 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა დარგის პრაქტიკული კურსების სილაბუსს და მათ შესაბამისობას დარგების პრაქტიკული კურსების მთელ სისტემასთან. რეკომენდაცია ეხებოდა სამი სილაბუსის: ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლების, მუზეოლოგიის, მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურის შესაბამისობას გასვლითი პრაქტიკის სილაბუსთან. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული სილაბუსები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ზემოხსენებული სამი სილაბუსი ძირითადი გასვლითი პრაქტიკული კურსისგან განსხვავებულ უნარებს მოითხოვს, სხვადასხვა ტიპის დავალებებითაა შედგენილი, სხვადასხვა კომპეტენციის სფეროა. გასვლითი პრაქტიკის კურსი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ კურსს, რომელიც მოითხოვს განვლილი არაერთი კურსის ცოდნას. 1.5 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემულირეკომენდაციის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი შინაარსი ბუნდოვანია, ვინაიდან მოთხოვნები, რომელსაც რეკომენდაცია დაწესებულებას უყენებს არ არის უცხო უნივერსიტეტისთვის და არსებული მდგომარეობით დაწესებულება აკმაყოფილებს რეკომენდაციის პირობებს. მიუხედავად ამისა, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსების გადახედვა რეკომენდაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებლად მოხდება. 2.1 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება რეკომენდაციას, თუმცა, იქვე აღინიშნა, რომ ყოველ სექტემბერს დაწესებულების მიერ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდება ინფორმაცია და მათ ვებგვერდზე თავსდება, რომელი ვებგვერდიც, აბიტურიენტებისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, აკრედიტაციის შემდეგ, წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაცია სრულიად იქნება გათვალისწინებული და ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის საიტზე. 2.2 და 2.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და მათ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. პლაგიატთან დაკავშირებით, წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება მაინც ნულოვან ზღვარს ემხრობა, მაგრამ განხილულ იქნა რეკომენდაციით შეთავაზებული 12-15% და ამ საკითხის მოგვარება სხდომასთან ერთად მიმდინარეობს დაწესებულებაში. 4.1 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, მხოლოდ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი აკადემიურ პერსონალში არ უნდა იყოს, წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციას. თუმცა იქვე განიმარტა, რომ არცერთ თეორიულ კურსზე არ არის მსგავსი კადრი, მხოლოდ ერთ - პრაქტიკულ ფოტოხელოვნების კურსს ასწავლის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება საკუთარ სფეროში, მაგრამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და დაწესებულება ითვალისწინებს რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირებასთან დაკავშირებით რჩევის შესახებ. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, თუ რა ტიპის საბაკალავრო ნაშრომები იწერება დაწესებულებაში და რამდენად სავალდებულოა

რეცენზირება. ექსპერტ ნატალია ტურაბელიძის განმარტებით, რეცენზირების წესი რჩევებშია გათვალისწინებული და შესაბამისად არ არის სავალდებულო ხასიათის. თუმცა, შესაძლებელია შუალედური შეფასებისთვის რეცენზირების წესის არსებობა, რაც გაითვალისწინა კიდეც უნივერსიტეტმა. შემდეგ თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა 1.4 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის განვრცობა მისი მიზანშეწონილობის ჭრილში. ექსპერტის განმარტებით, რადგანაც არსებული სილაბუსების მიხედვით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ხდებოდა საკითხების გადაფარვა და სილაბუსები უნდა მოსულიყო შესაბამისობაში. საპასუხო წერილის მიხედვით, გადაფარვა არ ხდებოდა, რადგან ყველა სილაბუსი სხვადასხვა სასწავლო მიზანს ემსახურება. ექსპერტის განმარტებით, ჩაშენებული პრაქტიკული კურსების აქტივობები ბუნდოვანი იყო და ვერ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას კურსის პროცესის და მეთოდოლოგიის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულ კურსებს აქვს განსაკუთრებული დატვირთვა. პროგრამაში არსებობს ისეთი კურსები, რომლებიც პროგრამის ბოლო გასვლით პრაქტიკულ კურსამდე არ ფარავს პრაქტიკულ საკითხებს. რადგანაც პროგრამის ბოლო კურსზე სტუდენტს უწევს ნაშრომის დაწერა, აუცილებელია მას საკითხის წინარე პრაქტიკული ცოდნა ჰქონდეს, რასაც ნაშრომის წერის პარალელურად, გასვლითი პრაქტიკული კურსით იღებს არასაკმარისი საათებით. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად ერთ-ერთი, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის სასწავლო კურსი რჩება პრაქტიკული კურსების მიღმა. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის მიზანს წარმოადგენდა სწორედ ის, რომ გასვლითი პრაქტიკული კურსი ფარავდეს საკითხებს ისე, რომ არცერთი კურსი არ რჩებოდეს პრაქტიკული მეცადინეობების მიღმა. მუზეოლოგიისა და ურბანული არქიტექტურის შესახებ, ექსპერტმა რეკომენდაციით მოითხოვა პრაქტიკული საქმიანობის აღწერის და მეთოდოლოგიის დაზუსტება სილაბუსში. ეს რეკომენდაცია ასევე ეხებოდა კურსების შინაარსს. ექსპერტის განმარტებით, სილაბუსებში არაა დაზუსტებული, თუ კონკრეტულად რა პრაქტიკულ სამუშაოებს ასრულებენ სტუდენტები და როგორია მეთოდოლოგია. თავმჯდომარის მომდევნო შეკითხვა ექსპერტებთან უკავშირდებოდა 2.4 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას პლაგიატის ჭრილში. თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დეტალურად განემარტათ რეკომენდაციის შინაარსი. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ნაშრომში ტექსტის დამთხვევას სხვა ნაშრომთან, რომლის პროცენტული მაჩვენებელიც 40%-დან 12-15%-მდე უნდა ჩამოწეულიყო. ექსპერტის მოსაზრებით, რეკომენდებული რაოდენობა გონივრულია. თავმჯდომარემ იმავე რეკომენდაციის შესახებ კითხვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვა, თუ რა ტერმინით მოიხსენიებენ პლაგიატს საუნივერსიტეტო რეგულაციებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ძველ დოკუმენტებში ტერმინი პლაგიატია მოხსენიებული და ამ დოკუმენტებშიც იგულისხმება მსგავსება. შემდეგი შეკითხვა დაწესებულების მიმართ თავმჯდომარის მიერ ეხებოდა 4.1 ქვესტანდატთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, ბაკალავრის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართვისაგან თავის არიდების საკითხს, თუ რა გზით ითვალისწინებს დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სპეციალისტს ჰქონდა მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და კარგი სილაბუსი. ამასთან, საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც შეიძლება შესთავაზონ პროგრამის განხორციელებაში ჩართვა. შემდეგ შეკითხვები დასვა საბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ. შეკითხვებამდე მან ხაზი გაუსვა დასკვნაში შემოქმედებითი ტურის საკითხს, რომელიც არ უნდა იყოს განხილული ხელოვნებათმცოდნეობასთან დაკავშირებით, აღნიშნული ჩათვალა ხარვეზად და აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს. შეკითხვა ეხებოდა სტუდენტების მიღების შესახებ ანკეტა-კითხვარს, რომელიც უნივერსიტეტის მიერ ივსება. საბჭოს წევრის შეკითხვა დაწესებულების მიმართ მდგომარეობდა შემდგომში: რა ჩანაწერი აქვს გაკეთებული უნივერსიტეტს მესამე სავალდებულო საგნის კომპონენტში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მონიშნულია სამი საგანი: ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა და სახვითი

და გამოყენებითი ხელოვნება. ამ საგნებს მეტნაკლებად თანაბარი ხვედრითი წილი აქვთ. შემდეგი შეკითხვით საბჭოს წევრი დაწესებულებას სთხოვდა რეცენზირების საკითხის განვრცობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შუალედური შეფასებისას რეცენზირების წესთან ერთად იმოქმედებს ხელმძღვანელის შეფასებაც და შეფასება ნაშრომის დასრულების შემდეგ მოხდება. შემდეგი შეკითხვა დაისვა საბჭოს წევრის, თამარ სირაძის მიერ: თუ რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესებულების წარმომადგენელს თუნდაც არჩევითი კურსის სახით მსოფლიო ლიტერატურის რომელიმე საგნის მიწოდება სტუდენტებისთვის, რადგან პროგრამაში არ მოიპოვება ლიტერატურის საგნები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არჩევით კურსად არსებობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსები, არა ამ პროგრამაში, არამედ თავისუფალ არჩევით კურსებში.

დამატებით, დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჭიჭილეიშვილმა გააკეთა კომენტარი ექსპერტის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესახებ. წარმომადგენლის მიხედვით, არქიტექტურის გასვლითი კურსის ფარგლებში წელიწადში ორჯერ ეწყობა გასვლითი პრაქტიკა, რომელიც მეოთხე კურსელებისთვის სავალდებულოა. დაბალკურსელი სტუდენტებისთვის ამ პრაქტიკებზე წასვლა შესაძლებელია და სტუდენტები იყენებენ კიდეც ამ შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ არ არის გათვალისწინებული კრედიტები მათთვის. შესაბამისად, მეოთხე კურსამდე სტუდენტები ახერხებენ საკმაო ცოდნის დაგროვებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 12:56 სთ.
დასრულების დრო: 13:12სთ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომნაწილობრივ გაიზიარაექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება,კერძოდ, 4.4 კომპონენტი ნაცვლად„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი

ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6]მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- გადაიხედოს დარგის პრაქტიკული კურსის სილაბუსი, რათა ის შეესაბამებოდეს სხვა პრაქტიკული კურსების მთელ სისტემას. (1.4)
- დაზუსტდეს ქართული ურბანული არქიტექტურის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა და მეთოდოლოგია (1.5)
- დაზუსტდეს მუზეოლოგიის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა დამეთოდოლოგია (1.5)
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ხელოვნების ისტორიის პროგრამის აღწერილობაში მითითებულ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებს უნდა დაემატოს იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულოა ორ ეროვნულ გამოცდასთან ერთად (ე.წ. მესამე ეროვნული საგამოცდო საგანი).(2.1)
- გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად. (2.2)
- საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სათანადო ყურადღება მიექცეს აკადემიური წერის პრინციპების დაცვით სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას.(2.2)
- შეიცვალოს მსგავსების დასაშვები ნორმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. (2.4)

- შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის ერთჯერადი შეფასების წესი და ჩამოყალიბდეს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად.(2.4)
- უსდ-მ თავი აარიდოს ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბარებული აკადემიური წოდების მქონე პირის ჩართვას სასწავლო პროცესში II კატეგორიის სპეციალისტის რანგში. (4.1)
- განახლდეს საბიბლიოთეკო რესურსი, რათა სტუდენტებს მიეწოდოთ უახლესი ბიბლიოგრაფია თანამედროვე ხელოვნების დიზაინის საერთაშორისო სფეროებიდან, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში და ეს ბიბლიოგრაფია საბოლოოდ უნდა აისახოს კურსის სილაბუსებში. (4.4)

რჩევები:

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების მოთხოვნებს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირების წესი. 1.3
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ერთად.1.3.
- სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის სტრუქტურა თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული საგნების დამატებით, როგორიცაა პოსტმოდერნიზმის,

ნეოლიბერალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიები. ამის მიღწევა შესაძლებელია თანამედროვე ხელოვნების ახალი კურსის დამატებით ან არსებული კურსის სახელწოდებით „მე-20 საუკუნის ხელოვნება“ გაძლიერებით. (1.4)

- სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებზე. (1.5)
- არჩევითი საგნების დიაპაზონში სასურველია, უპირატესობა მიენიჭოს სახვითი ხელოვნების საგანს.(2.1)
- სასურველია დაინერგოს უნივერსიტეტის ღია კარის დღის პრაქტიკა.(2.1)
- სასურველია, საველე პრაქტიკული კურსი დაიგეგმოს მეორე სასწავლო წლიდან, შუა საუკუნეების ქართული კურსების თეორიულ საგნებთან ერთად და გადანაწილდეს რამდენიმე სემესტრზე; გააქტიურდეს პრაქტიკული მუშაობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისა და მათი გაფორმების მიმართულებით როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. (2.2)
- სასურველია, გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომების თემების შინაარსი.(2.2)
- სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებზე. (2.3)
- სასურველია, აკადემიური პერსონალმა მეტად ისარგებლოს მათი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდით, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ჟურნალებში კვლევების წარდგენითა და გამოქვეყნებით. (4.1)
- პრობლემების მოსაგვარებლად, სასურველია, შემუშავდეს და გაფორმდეს მემორანდუმები ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.(4.1)
- სასურველია, მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მქონე პირები ეტაპობრივად ჩაერთონ სასწავლო პროცესში მოწვეული კადრების სახით. (4.1)
- სასურველია ფიზიკური რესურსებისა და მთელი სივრცის განახლება გარკვეული პირობების გათვალისწინებით უკეთესი ვენტილაციისთვის, განათებისთვის და ა.შ. (4.4)
- სასურველია, შემუშავდეს პროგრამის ინდივიდუალური ბიუჯეტი. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას. (4.5)
- სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ფინანსების მოზიდვის სტრატეგია პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.(4.5)
- სასურველია, განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვების შაბლონის გამოყენებით. (5.3)

2. მეორე საკითხი: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომას შემოუერთდნენ მარინა ქავთარაძე, ნინო ჭალაგანიძე და ლაშა ჩხარტიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტ მარიამ კილანავას თქმით, ვიზიტის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი. ასეთი საკითხი იყო პროგრამის საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრაში მოყვანა. ხაზი გაესვა რამდენიმე კურსის, მათ შორის ინგლისური ენის სტილისტიკის კურსის სავალდებულო კურსად ქცევის საკითხს. რეკომენდაციები შეეხო პრაქტიკის კომპონენტის პროგრამიდან ამოღებას, შინაარსის სწავლის შედეგებთან თანხვედრაში მოყვანას, სწავლის მეთოდებს, საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით კვლევის კომპონენტთან დაკავშირებული კურსის პროგრამაში ინტეგრირებას. ექსპერტის განმარტებით, რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულიად გაითვალისწინა, ერთი რეკომენდაცია გაწვეულ იქნა ექსპერტთა მიერ, ხოლო, რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული, დაწესებულების მიერ საკუთარი არგუმენტებით დასაბუთდა. ექსპერტ რევაზ ტაბატაძის თქმით, ზოგიერთ კურსთან დაკავშირებით სილაბუსში ბუნდოვანი იყო საგნის წინაპირობები. ამის გამოსწორების შესახებ დაწესებულების მიერ გამოითქვა მზაობა. ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა პლაგიატის პრევენციის საკითხს. ექსპერტი ნიჰადა დელიბეგოვიკ ძანიკის თქმით, ვიზიტმა გამართულად ჩაიარა და აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯებია. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა პირველ სამ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას. ასევე ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ C დონეს, რომელიც მისი აზრით B2-ად უნდა კვალიფიცირდებოდეს. არსებული მოთხოვნაა B2+, რომელიც არ არის რეალისტური პროგრამისთვის. ასევე ექსპერტმა აღნიშნავს, რომ ყურადღებამისაქცევია ქართულენოვანი კურსები.

ვიდრე დაწესებულების პოზიციას მოისმენდა საბჭო, სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს კითხვით მიმართა აკადემიური წერის კურსში ცვლილებების დაზუსტებასთან და C1 დონესთან დაკავშირებით. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: თუ დაწესებულებას აქვს ამბიცია გავიდეს C1 დონეზე, და ეს ცალსახად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პროგრამა მინიმუმ B2+ დონეზე გავა, შესაბამისად საბჭოს აინტერესებს, თუ რატომ იყო რეკომენდაცია წარმოდგენილი არსებული ფორმით. ექსპერტმა მარიამ კილანავამ განმარტა, რომ მიზნებად მითითებული იყო B2+ და რადგანაც საერთაშორისოდ დამკვიდრებული არაა მსგავსი დონე, იქმნებოდა გაუგებრობა. ექსპერტი ხსნის, რომ პროგრამა უზრუნველყოფდა მინიმუმ B2 დონის ცოდნას. აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ განმარტა, რომ აკადემიური წერის საგანი არის სავალდებულო კურსი, სტუდენტების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე საგანს რეკომენდაციით არ ეცვლება მხოლოდ სახელი, ფილოლოგებისთვის ის ითვალისწინებს განსაკუთრებულ შინაარსს, რომელიც პროფესიულად ინგლისური ფილოლოგებისთვის არის აუცილებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პასუხის დაბრუნების შემდეგ უკუკავშირი მიიღო ექსპერტთა ჯგუფისგან, რამაც ნათელი გახადა რეკომენდაციის შინაარსები. წარმომადგენლის მიხედვით, დაწესებულება ძირითადად ყველა რეკომენდაციას პრინციპულად ეთანხმება, საკითხი კი მდგომარეობს იმაში, თუ როგორი იქნება სრული სურათი მათი განხორციელების შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა პლაგიატის შესახებ რეკომენდაციას, რომელთან დაკავშირებითაც, სილაბუსის დათქმითი ნაწილის რეალიზაციის შესახებ სრულიად დაეთანხმა ექსპერტებს. მისი განმარტებით, უახლოესი თვეების განმავლობაში ექსპერტთა რეკომენდაციების სრული ასახვა პრაქტიკაში აუცილებლად მოხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრის ნინო ღაღანიძის შეკითხვა ეხებოდა 1.5 რეკომენდაციას, რომელსაც ინსტიტუცია არ დაეთანხმა. რეკომენდაციის მიხედვით ხელახლა უნდა შეფასებულიყო და გაზრდილიყო კრედიტების რაოდენობა ძირითადი კომპეტენციის საკითხებისთვის. ექსპერტების მიმართ საბჭოს შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, თუ რა საფუძველი დაედო ამ რეკომენდაციას და კონკრეტულად რა სახის ცვლილებებს საჭიროებდა დაწესებულება. ექსპერტ რევაზ ტაბატაძის განმარტებით, ჩამოთვლილი საგნებიდან ძირითადად ფოკუსი სამ საგანზე იყო, რომლებსაც 3 კრედიტი ჰქონდათ მინიჭებული. ეს საგნები წარმოადგენენ კომპეტენციის მაფორმირებელ საკითხებს. რადგანაც კრედიტები სასწავლო საათების პირდაპირპროპორციულია, მსგავსი საგნებისთვის ამ რაოდენობის კრედიტებისა და საათების ასე მცირედ მინიჭება, ექსპერტთა მოსაზრებით, ვერ იქნება პროპორციული. აქვე, გასათვალისწინებელია ლიტერატურის სიმრავლე და მასთან საათების პროპორციულობა. შესაბამისად 75 საათისა და 3 კრედიტის ფარგლებში ამ მოცულობის სასწავლო მასალის ათვისება, ექსპერტების მოსაზრებით, შეუძლებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი შეიძლება დაწესებულების მიერ განხილული იქნეს, მაგრამ შეუძლებელია ამ რეკომენდაციის სრულიად გათვალისწინება დროის სიმცირის გამო. საბჭოს წევრის, ერმილე მესხიას შეკითხვები ეხებოდა საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს. კურსი მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველოს თემატიკა და სახელწოდება, საბჭოს წევრის მოსაზრებით, არ შეესაბამება ერთმანეთს. შემდეგი პრობლემატური კურსი იყო ბიზნესადმინისტრირების საფუძვლები, სადაც სწავლის შედეგები მიზანთან თანხვედრაში ვერ მოდიოდა, ვინაიდან სილაბუსი მხოლოდ ერთ თემატიკას ეხებოდა. კითხვის მესამე ნაწილი ეხებოდა აბიტურიენტებს, როცა აბიტურიენტების კატეგორია, რომელთაც ინგლისური ენის ჩაბარებისას, ზღვარი გადალახეს, მიიღეს დაბალი შეფასება, თუმცა პროგრამაში მოხვდნენ, როგორ უნდა შეძლონ B1, B2 დონის ათვისება პირველ სემესტრში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს სტუდენტისთვის ინგლისურ ენაში დანაკლისი ცოდნის კომპენსირების პროგრამა, შესაბამისად ხდება ცოდნის შევსება. საუნივერსიტეტო არჩევითი კურსის მსოფლიო ცივილიზაციებისა და საქართველოს შესახებ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა გადასახედია და დროთა განმავლობაში გამოსწორდება. ბიზნესის ადმინისტრირების ნაწილში დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს. მისი განცხადებით კურსი მრავალფეროვანია და ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე. საბჭოს წევრ მამუკა ხუსკივაძის პოზიცია ასევე ბიზნესადმინისტრირების კურსის სილაბუსის შეეხო, მან აღნიშნა, რომ კურსის სილაბუსი ცალსახად ვერ მოდის სწავლის შედეგებთან თანხვედრაში. ძირითადი შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: თუ რატომ არ მიიჩნია პროგრამის ხელმძღვანელმა მიზანშეწონილად, რომ თარგმანის თეორია და პრაქტიკა ყოფილიყო ძირითადი და არა არჩევითი კურსი. ბიზნესადმინისტრირების კურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ კურსის გადახედვა შესაძლებელია და შენიშვნები მიღებულია რჩევად.რადგანაც შესაძლებელია რჩევა

გადაიზარდოს რეკომენდაციაში, წარმომადგენლის განცხადებით, საჭიროა დაწესებულებას დარჩეს საკუთარი პოზიციის დაცვის საშუალება, შესაბამისად ასეთ შემთხვევაში დარგის სპეციალისტები უნდა იქნენ მოწვეულნი. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განიმარტა, რომ არც პროგრამის შედეგები ითვალისწინებს და არც საკვალიფიკაციო ჩარჩო იძლევა იმის საშუალებას, რომ კურსი გახდეს ძირითადი. ამისთვის არსებობს თარგმანისთვის ცალკე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. საბჭოს წევრის, თამარ სირაძის, შეკითხვები ორ საკითხს ეხებოდა. პირველი მათგანი პრაქტიკის კომპონენტის შესახებაა, რეკომენდაცია ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის ამოღებას, ხოლო დაწესებულება რეკომენდაციას არ ეთანხმება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭო დაინტერესდა, თუ რას გულისხმობს პრაქტიკული კურსი. შემდეგი საკითხი შეეხო XVII-XVIII საუკუნის ინგლისური ლიტერატურის კურსს, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო მასალა ძალიან დიდია და საბჭო დაინტერესდა, თუ რატომ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა ასე, ვინაიდან სილაბუსით საბჭოს წევრის გადმოსახედით, არ შეიცავდა კურსი დიდ მასალას. დაწესებულების წარმომადგენლის, დიმიტრი გეგენავას განმარტებით, პირველ საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს პროფილურად პრაქტიკა, რომელიც მხოლოდ სინქრონულ თარგმნას არ გულისხმობს. რადგანაც სამუშაო მრავალფეროვანია და დაწესებულებასაც აქვს რესურსი, რომ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ათვისებას შეუწყოს ხელი პრაქტიკული კურსით, პრაქტიკააუცილებლად უნდა დარჩეს პროგრამაში. რადგანაც აღნიშნულ პრაქტიკას სტუდენტი სწავლის პერიოდში გადის, მას ერთგვარად უგროვდება პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული კურსი ახალია, მაგრამ უნივერსიტეტის გამოცდილებით, სხვა პროგრამებში მსგავსი კურსების გავლის შემდეგ, დასაქმების შემთხვევები, იმავე დაწესებულებებში სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან, ძალიან ბევრია. წარმომადგენელმა სოფიო მორალიშვილმა ასევე ისაუბრა ამ საკითხზე, მან ისაუბრა, რომ მისი გამოცდილებით სხვა უნივერსიტეტებში პრაქტიკის ეს კომპონენტი კარგად მუშაობს. მეორე საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსი ტრადიციულია და მრავალი წელია ისწავლება. კურსის ავტორს აქვს დიდი გამოცდილება ამ საგანში, ამ საკითხთან დაკავშირებით იყო განხილვა და კურსის ავტორის პრაქტიკიდან გამომდინარე სასწავლო მასალის მოცულობა არ არის დიდი და ადეკვატურია. ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსით გაწერილი მასალა მოითხოვს, რომ კვირის განმავლობაში სტუდენტს უწევს ერთი წიგნის ან ნაშრომის შესწავლა, რაც მოითხოვს დიდ ძალისხმევას. შესაბამისად, გადაჭარბებულია მასალის რაოდენობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:59 სთ.
დასრულების დრო: 14:20 სთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის

მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა მათ მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სტანდარტებისა და კომპონენტიების შეფასებების ცვლილება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, (2030 წლის 28 თებერვალი) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდეგნის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს. (1.1)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროებების და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ტენდენციების დაკმაყოფილება. (1.1)
- გადაიხედოს სწავლის შედეგი “C” ვინაიდან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნებოდა„იყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა,კომუნიკაციური კომპეტენცია) მინიმუმ B2 დონეზე“. (1.2)
- საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ უნდა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი ძირთადი დარგის ფარგლებში, რაც გაამდიდრებს სასწავლო გეგმას და შესძენს სტუდენტებს ლინგვისტური და სტილისტური ელემენტების ყოვლისმომცველ ცოდნას.(1.4)
- ეკომენდებულია, ხელახლა შეფასდეს და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა ძირითადი კომპეტენციის საგნებისთვის, როგორიცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "შესავალი ფილოლოგიაში","შესავალი ლიტერატურის მცოდნეობაში" და სხვა. (1.5)
- ეკომენდებულია, დეტალურად იქნეს შესწავლილი სასწავლო კურსები, თითოეულ კურსზე ჩამოყალიბდეს მორგებული და შესაბამისი წინაპირობები. დარწმუნდით, რომ წინაპირობები შეესაბამება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ადეკვატურად ამზადებს სტუდენტებს თითოეული კურსის გამოწვევებისთვის. (1.5)
- ეკომენდებულია, შემდეგ კურსებში უფრო ზუსტად იქნეს შეტანილი შედეგთან დაკავშირებული თემატიკა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები: „მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია“; „XX საუკუნის ქართული პოეზია“, „ინგლისური

ენა ბიზნესისთვის“, „კორპუსლინგვისტიკა“, „ფრანგული ენა A1“, „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960- დღემდე)“ და „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“.(1.5)

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი კვლევის მეთოდებში, რომელიც შეესაბამება სწავლის დონეს, რათა ეფექტურად განვითარდეს კვლევის უნარები და წარმატებით მიიღწეს სწავლის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში. (2.2)
- რეკომენდებულია, სწავლების მეთოდის აღწერილობების მორგება კონკრეტული კურსის შინაარსსა და პროგრამის სავარაუდო შედეგებზე დაყრდნობით; სწავლების მეთოდებსა და თითოეული კურსის შედეგებს შორის მეტი სიცხადე და შესაბამისობა.(2.3)
- რეკომენდებულია „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის“ თანმიმდევრულად გამოყენება ან საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის საკითხების სხვაგვარად რეგულირება (თუ პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას)- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს ასეთი რეგულაციები შესაბამის დოკუმენტებში და უზრუნველყოს, რომ ისინი ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. (2.4)

რჩევები:

- სასურველია, უსდ-მ გაზარდოს ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. (1.1)
- გადაიხედოს არსებული საგანი „აკადემიური წერა“ და შეიცვალოს უფრო მორგებული და სპეციფიკური კურსით სახელწოდებით „აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის“, რაც უფრო შეესაბამება სტუდენტების სპეციალიზებულ აკადემიურ საჭიროებებს.(1.4)
- სასურველია ჩატარდეს B2 დონის სერტიფიკატის ქულების საფუძვლიანი მიმოხილვა და აუცილებელი კორექტირება (მაგალითად, TOEFL IBT), რაც უზრუნველყოფს ენის ცოდნის დადგენილ სტანდარტებთან სიზუსტეს და შესაბამისობას. (1.4)
- სასურველია, სასწავლო კურსის „ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები“ მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან და დასახელებასთან.(1.5)
- სასურველია, სასწავლო კურსის „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელებასთან. (1.5)

- იმისთვის, რომ პროგრამის წინაპირობები უფრო გასაგები გახდეს, სასურველია მიეთითოს მიზნობრივი სეგმენტი, ზუსტი თარიღები და კანონმდებლობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი დეტალები, რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების მიღებისას. (2.1)
- პლაგიატის პრობლემასთან დაკავშირებით, სასურველია მეტი ძალისხმევა დაიხარჯოს პრევენციაზე, ვიდრე დასჯაზე. (2.4)
- უნივერსიტეტის რეგულაციებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულების მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის დატვირთვა. (4.1)

სხდომა დატოვეს ქეთევან ქუთათელაძემ და ლევან ნიკოლეიშვილმა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო, ,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი

სპეციალობა)” საბაკალავრო, ,,კინომცოდნეობის” სამაგისტრო და ,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს ირინე ებრალიძემ, მაია მაისურაძემ და მარინა ქავთარაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია .
საერთაშორისო ექსპერტი რიმა პავილიონიენე მიესალმა საბჭოსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამებმა მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გამოიყო რამდენიმე საკითხი, რომელიც დასკვნაში აისახა და ითვლება პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ. გამოიკვეთა პრობლემა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც სტუდენტებმაც ისაუბრეს ინტერვიუს დროს. სტუდენტების მიერ განხილულ იქნა ასევე ქართული ლიტერატურის დამატების საკითხი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კინომცოდნეობის სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი ფილმების ელექტრონულ ბაზებთან წვდომაზე. მუსიკის პროგრამასთან დაკავშირებით პრობლემა კლასიკური მუსიკის მიმართულებით წარმოიშვა. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დაემატოს კლასიკური მუსიკის ბლოკი, გათვალისწინებული იყოს ტექნოლოგიები, კომპოზიციები და სხვ. თუმცა, აქვე ექსპერტების მხრიდან აღინიშნა, რომ მუსიკის მიმართულება არის პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე. კინომცოდნეობის პროგრამასთან დაკავშირებით, გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმის დახვეწის შესახებ. თეატრის პროგრამასთან დაკავშირებით გამოიყო ერთ-ერთი საკითხი, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ორ წელში პროფესიონალი მსახიობისა და რეჟისორის მომზადება. დამსაქმებელთან შეხვედრის შემდეგ ექსპერტმა ჯგუფმა მათგან შეიტყო, რომ პროგრამა საკმაოდ კარგად მუშაობს და პერსპექტიულია. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში ჩართულები არიან კურსდამთავრებული დოქტორები, რაც აუცილებლად

უნდა აღინიშნოს, როგორც დაწესებულების დადებითი მხარე, ვინაიდან, უნივერსიტეტი იზიდავს ახალგაზრდა კადრებს უნივერსიტეტში. ექსპერტმა წარმატება უსურვა დაწესებულებას და მის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ჟვანია, მიესალმა სხდომას. წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო გამოცხადების დღიდან. ასევე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ გაჟღერებული პრობლემები ინგლისური ენის კომპეტენციისა და ორწლიან სამსახიობო მომზადების შესახებ პირველად იქნა მოსმენილი დაწესებულების მხარეს, ეს პრობლემები ნახსენები არ იყო დასკვნაში. წარმომადგენელმა საუბარი განაგრძო რეკომენდაციების შესახებ. მან განიხილა 1.1 რეკომენდაცია, რომელიც კვალიფიკაციის ფორმულირებას ეხებოდა, აღნიშნულს დაწესებულება დაეთანხმა და გაითვალისწინა. რეკომენდაცია 5.1 სტანდარტზე ეხებოდა კლასტერს და გამოყენებულ ლიტერატურას. რეკომენდაციაში საუბარია ლიტერატურის განახლებაზე, ხოლო დასკვნაში თარგმნაზე, შესაბამისად საკითხები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს საკითხი კინომცოდნეობასთან კავშირში წამოიჭრა. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ვიზიტისას და დასკვნის ძირითად ნაწილშიც საუბარი იყო ლიტერატურის თარგმნაზე და არა ლიტერატურის განახლებაზე. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლიტერატურა და რესურსები ახალია. ერთადერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს თარგმნილი რესურსები ქართულ ენაზე, რაც ვიზიტისასაც იყო ნახსენები დაწესებულების მხრიდან. შესაბამისად, წარმომადგენლის განცხადებით, ეს რეკომენდაცია არ უნდა გაცემულიყო. 2.1 რეკომენდაციის მიხედვით, ხარვეზია სტუდენტთა მიღების საკითხში ინგლისური ენის სერტიფიკატის ქონის შემთხვევაში, რადგან უნივერსიტეტი არ ქმნის განსაკუთრებულ პირობებს ასეთი სტუდენტებისთვის. წარმომადგენლის მოსაზრებით, არსებული სიტუაციით არ ირღვევა არცერთი რეგულაცია. უნივერსიტეტი ამოწმებს სტუდენტის B2 დონეს და ეს წარმოადგენს დაშვების წინაპირობას. წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია ამ დონის ცოდნის დადასტურება სერტიფიკატითაც, შესაბამისად, მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა აღნიშნული რეკომენდაციის სავალდებულოობა. წარმომადგენელმა მაკა ლაშხიამ ისაუბრა კინომცოდნეობის შესახებ. 1.4 რეკომენდაცია შეეხო კრედიტების საკმარისობას ბაკალავრიატზე. რეკომენდაციის მიხედვით 120 კრედიტში არსებული ორი არჩევითი ხელოვნებათმცოდნეობის კურსი: კულტურის კვლევების და ვიზუალური ხელოვნების შესახებ, კინომცოდნეობასთან თემატურად არ არის შემხებლობაში. წარმომადგენელმა განმარტა, რომ კინომცოდნეობა მომიჯნავეც კი არ არის ხელოვნებათმცოდნეობასთან, იგივე სფეროა. შესაბამისად, კურსები თემატურად შეესაბამება კინომცოდნეობას. წარმომადგენელმა ნინო მხეიძემ განმარტა, რომ კინომცოდნეობა მხოლოდ კინოს შესწავლას არ მოიცავს. უნივერსიტეტის მიზანი არის სფეროსა და აზროვნების გაფართოება, შესაბამისად ეს ორი კურსი წარმოადგენს კინომცოდნისთვის გამოსადეგ საგნებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ დაეთანხმა. წარმომადგენელი გოგი გვახარიას მიხედვით, ისტორიულად კინო სახვითი ხელოვნების ნაწილი იყო, რაც ცხადყოფს სახვითი ხელოვნების შესწავლის აუცილებლობას. მიმდინარე პრაქტიკით ძირითადად კინომცოდნეობის შესწავლისას ყურადღება ექცევა თეორიულ, შინაარსობრივ და ლიტერატურულ ასპექტს, რაც ცალსახად არ არის კინოსთვის ერთადერთი შემადგენელი ნაწილი. წარმომადგენლის მოსაზრებით, რადგანაც კინო არის ვიზუალი, მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების შესწავლა კინომცოდნეთათვის. წარმომადგენლის აზრით, არათუ უნდა შემცირდეს ხელოვნების შესწავლა კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, არამედ უნდა გაიზარდოს. წარმომადგენელი თეო ხატიაშვილის განმარტებით, თანამედროვე კინომცოდნეობა ფართო სფეროა, შესაბამისად ორივე კურსი უნდა დარჩეს პროგრამაში. მომდევნო რეკომენდაცია ანიმაციის ისტორიის კურსს შეეხო. წარმომადგენელი ნინო მესხის განმარტებით, ქართული ანიმაციის ისტორია ქართული კინოს ისტორიაში ისწავლება. კინოს

თეორიისა და პრაქტიკის კურსში ასევე იფარება მსოფლიო ანიმაციის ისტორია. შესაბამისად ეს სფერო კურსდამთავრებულისთვის უცხო არ არის. მიუხედავად ამისა, დაწესებულება განმარტავს, რომ განიხილება მსოფლიო ანიმაციის ისტორიის ცალკე კურსად დამატება, მაგრამ სპეციალისტების სიმცირე ართულებს პროცესს. მომდევნო რეკომენდაცია შეეხო დოკუმენტური კინოს ისტორიის ორ კურსს, რომელიც რეკომენდაციის მიხედვით სავალდებულო უნდა იყოს. წარმომადგენელმა ისაუბრა სწავლების მეთოდის შესახებ, რომ ნებისმიერ კურსზე დოკუმენტური კინო არის პირველი მასალა, რომლითაც იწყება სწავლება, შესაბამისად, დოკუმენტური კინოს შესახებ სტუდენტებს აქვთ დიდი ინფორმაცია. გარდა ამისა, ლექტორები მუდმივად უწევენ რეკომენდაციას ამ ორ კურსს და მიმდინარე მდგომარეობით ამ მხრივ პროგრამას არ აქვს პრობლემა. წარმომადგენელმა გოგი გვახარიამ ასევე აღნიშნა, რომ დოკუმენტური კინოს პოპულარიზაციას ეწევა უნივერსიტეტი, რადგან სპეციალისტები ამ სფეროში საქართველოში არ არსებობენ. სწორედ ეს წარმოადგენს კიდევ ერთ მიზეზს, იმისა, რომ ზემოხსენებული კურსები არ არის სავალდებულო. მომდევნო რეკომენდაციის მიხედვით, მსოფლიო კინო ისტორიის თეორიისა და პრაქტიკის თანმიმდევრობა უნდა შეიცვალოს და ერთმანეთის პარალელურად უნდა ისწავლებოდეს. წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეორიული ნაწილი პირველ რიგში უნდა შეისწავლოს სტუდენტმა, ხოლო, მომდევნო სემესტრში თეორიული ცოდნის მიღების შემდეგ პრაქტიკული ნაწილი უნდა გაიაროს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ სტუდენტს უწევს ვიწრო სპეციალიზაციის არჩევა, რომლის გარეშეც პრაქტიკული მუშაობა შეუძლებელია. შესაბამისად, წარმომადგენლის განცხადებით, არსებულ თანმიმდევრობას აქვს გამართლებული ლოგიკა.წარმომადგენელმა გოგი გვახარიამ აღნიშნა, რომ უხმო კინოს ისტორიის კურსი მოკლეა, თუმცა მოიცავს კინოს ისტორიის ფუნდამენტებს. წარმომადგენელმა ნინა მათრაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს ფილმების ბაზა, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ სტუდენტებს. შემდეგი რეკომენდაცია მუსიკის საბაკალავრო პროგრამის კლასიკური ფორტეპიანოს და ბაროკოს მიმართულებას შეეხო. დაწესებულებამ რეკომენდაცია ვერ გაიზიარა, ვინაიდან წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საკლავიშო ხელოვნების ბლოკი უნდა დარჩეს. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მომდინარეობს სასწავლო ამოცანებიდან, რომელთა შორის არის სასწავლო მრავალფეროვნება, რაც კურსდამთავრებულს ხელს უწყობს დასაქმებაში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ოთხ ბლოკად არის დაყოფილი, სტუდენტი აქედან ერთერთით იღებს პროფილურ ცოდნას, ხოლო დანარჩენიდან შესაძლებელია არჩევა. ამ სფეროში დასაქმება დაწესებულების კურსდამთავრებულებისა მაღალია, რაც სწორედ არსებულმა სტრუქტურამ განაპირობა. კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ საზღვარგარეთ, მათი შესრულების დონე საკმაოდ მაღალია. თუ რეკომენდებულ სტრუქტურას დაამყარებს უნივერსიტეტი, ეს გამოიწვევს სტუდენტის არჩევანის და პროგრამის გაღარიბებას, რადგან ზოგიერთი სფერო ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე სხვა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი კადრების გაზრდა, რომელიც საქართველოში იშვიათია, რასაც ემსახურება არსებული პროგრამა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მწვავე დეფიციტი გვაქვს საჯარო სკოლის პროფესიონალი მასწავლებლების, გასავითარებელია მუსიკის თერაპია, სწორედ აქ ჩანს საკლავიშო ხელოვნების ბლოკის როლი, რომელიც ზრდის არამარტო ვირტუოზებს, არამედ კომპეტენტურ კადრს. სტატისტიკურად პიანისტები მცირდება, რაც ქმნის იმ რეალობას, რომ, ფაქტობრივად, აღარ არსებობენ პიანისტი საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლები. გარდა ამისა, ძირითადი და დამატებითი ბლოკების სისტემა სტუდენტს ორმაგი განათლების მიღების საშუალებას აძლევს. სტუდენტები ასევე სრულიად სხვა სფეროს ფაკულტეტებიდან მეიჯორად ან მაინორად გადიან მუსიკის საგნებს. შესაბამისად, ხდება მუსიკის ინტეგრირება სხვა სფეროებშიც. მომდევნო რეკომენდაცია შეეხო კინომცოდნეობის პროგრამას კრიტიკული წერის ნაწილში. წარმომადგენელმა თეო ხატიაშვილმა განმარტა, რომ კრიტიკული წერის ორი კურსია, ორი საფეხურია, რომლებიც განსხვავდება სირთულეებითა და მიზნებით. პირველ საფეხურზე ხდება საბაზისო ცოდნის ათვისება, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე დავალება ბევრად

უფრო რთულია და მოითხოვს სტუდენტის მიერ დამოუკიდებელ მუშაობას. წარმომადგენელმა ახსენა, რომ დიფერენციაცია ამ ორ საგანს შორის მარტივია და თუ პრობლემას მხოლოდ სახელწოდებათა იგივეობა წარმოადგენს, შეცვლა შესაძლებელია. მომდევნო რეკომენდაციის მიხედვით გამოყენებული ლიტერატურა უნდა განახლდეს. ეს რეკომენდაცია შეეხო მთლიან კლასტერს, დასკვნაში კი აღინიშნა მხოლოდ ერთ პროგრამასთან მიმართებით. კინომცოდნეობის პროგრამის შესახებ რეკომენდებული იყო ლიტერატურის თარგმნა, მაგრამ არა განახლება. შესაბამისად, წარმომადგენლისთვის აღმოჩნდა გაუგებარი, თუ რატომ შეეხო ეს რეკომენდაცია სრულიად კლასტერს. მომდევნო რეკომენდაციები შეეხო ტექნიკურ ხარვეზებს და აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა. შემდეგ რეკომენდაციაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა მუსიკის საბაკალავრო პროგრამაში პერსონალის შემოქმედებითი კვლევითი აქტივობები. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალი აქტიურად ეწევა შემოქმედებით და კვლევით აქტივობებს. რეკომენდაციაში ხაზი გაესვა საკლავიშო ხელოვნებას. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლექტორისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სტუდენტი და მისი მიღწევები და სწორედ ეს საკითხი ასახავს აკადემიური პერსონალის ძალისხმევას. განიხილა პროფესორი ნინო მამრაძე, რომელმაც არაერთი პროფესიონალი პიანისტი აღზარდა და არაერთი მოწვევა აქვს საზღვარგარეთიდან, როგორც პედაგოგს. მისი პედაგოგიური მეთოდით დაინტერესებულია პრესა მსოფლიოს მასშტაბით. განიხილა პროფესორი ქეთი შენგელია, რომელსაც უნივერსიტეტში ინოვაციური პროგრამები შემოაქვს მუსიკის სწავლებასთან დაკავშირებით. ბოლო რეკომენდაცია რესურსების უზრუნველყოფას შეეხო, რომელთან დაკავშირებითაც სხდომაზე წარმომადგენელმა ნინო მატარაძემ ისაუბრა. მან განმარტა, რომ სტუდენტებისთვის მუსიკის დარგში 191 ჟურნალია ხელმისაწვდომი, უნივერსიტეტს კავშირი აქვს მუსიკალურ ტელევიზიებთან, წვდომა აქვს JSTOR-ის ბაზასთან, არსებობს უნივერსიტეტის ფირფიტების კოლექცია და სხვ. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ უკეთესობისკენ შეცვლის ბაზების დამატება, მაგრამ უნივერსიტეტი არ განიცდის რესურსთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობას.

თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დამატებით პოზიციის დაფიქსირება მისი არსებობის შემთხვევაში.
საერთაშორისო ექსპერტმა რიმა პავილიონიენემ ისაუბრა კლასიკური მუსიკის ბლოკის შესახებ. მისი პოზიციის მიხედვით, ბლოკის მაინორად დატოვება შესაძლებელია. იქიდან გამომდინარე, რომ ის არ იცნობს საქართველოში ამ საკითხთან მიდგომას, მან ცალსახა კომენტარი ვერ გააკეთა. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე და ლიბერალური მიდგომით საკითხის გადაჭრა საუკეთესო გამოსავალია ამ ბლოკისთვის. ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ მუსიკის მიმართულებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა პოზიციით, პროგრამა სასწავლო მიზნებს ვერ აღწევს. ექსპერტის მიხედვით, კლასიკური მუსიკის მაინორ კურსად დატოვება ლიბერალურ ჭრილში კარგად მუშაობს და ის იმედოვნებს, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს რეკომენდაციებს. აკადემიური პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ წარუდგენია დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებს პერსონალის შემოქმედებით საქმიანობათა სიმრავლეს და არც უნივერსიტეტის საიტი არ იძლეოდა ინფორმაციას ამის შესახებ. ბაზების სიმცირესთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის რჩევათა რიცხვში გადატანა შესაძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა თინათინ ჭაბუკიანმა შეკითხვა დასვა ცოცხალი თეატრის ხელოვნების პროგრამასთან დაკავშირებით. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: აბიტურიენტები რომლებიც სხვა პროგრამებიდან გადადიან აღნიშნულ პროგრამაზე, აქვთ თუ არა შემოქმედებითი ტურების დაძლევისთვის რაიმე შეთავაზება, კონსულტაცია ან სერვისი. მომდევნო შეკითხვა შეეხო სადიპლომო კურსის საბოლოო შეფასების საკითხს. არსებული პროგრამით საბოლოო გამოცდას წარმოადგენს სპექტაკლი. საბჭოს წევრის შეკითხვა დაისვა

შემდეგი ფორმულირებით: არის თუ არა სამეცნიერო ნაშრომი დამოუკიდებელი კომპონენტი და თუ არ არის, რაში მდგომარეობს ის. დაწესებულების წარმომადგენელმა ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ კონკრეტული ქმედება, შემოქმედებითი ტურების შესახებ კონსულტაციებისთვის არ არსებობს, მაგრამ აბიტურიენტებს მიეწოდებათ ნიმუშები და აქვთ უნივერსიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია და დაწესებულებაც მზადაა გაუწიოს დახმარება მათ. გარდა ამისა, მიღების პროცედურები ითვალისწინებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც თეატრალური, ისე სხვა სფეროს განხრით ბაკალავრის ხარისხის მქონე აბიტურიენტები და მიღებისას მრავალი თეატრალური მიმართულების ბაკალავრის ხარისხის მქონე აბიტურიენტი ვერ მოხვდა პროგრამაში, ხოლო, სხვა სფეროდან მრავალი მოხვდა. შესაბამისად, ისინი არ არიან არათანაბარ მდგომარეობაში. მეორე საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენლის განმარტებით, სადიპლომო ნაშრომი მოიცავს როგორც სამეცნიერო ნაშრომის, ისე სპექტაკლის კომპონენტებს. თეორიული ნაწილი მოიცავს კვლევას სპექტაკლის შესახებ, ხოლო, სპექტაკლი იდგმება კვლევაზე დაფუძნებით და ორივე კომპონენტი ფასდება. მომდევნო შეკითხვით საბჭოს წევრმა ექსპერტებს სთხოვა განემარტათ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რჩევა. საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ აკადემიურ პერსონალში დარგის სპეციალისტებიიქნებოდნენ ძირითად პერსონალში და არ იქნებოდნენ მხოლოდ მოწვეული ლექტორები.საბჭოს წევრ ნინო ბაქრაძის შეკითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან მეორე პროგრამასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ საბჭო გაეცნო პროგრამას და დაინტერესდა, თუ რომელი საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამას იზიარებს პროგრამა და რა ნაწილში. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ძირითადად ბრიტანულ უნივერსიტეტების მოდელს ემსგავსება პროგრამა. როგორც წარმომადგენელმა აღნიშნა, საშემსრულებლო ნაწილი ბევრ უნივერსიტეტს არ აქვს, რადგან ეს იშვიათი ფუფუნების საკითხია, რომლითაც განსახილველი პროგრამა სარგებლობს. გარდა ამისა, წარმომადგენელმა აქვე დაამატა, რომ განსახილველი პროგრამით სტუდენტს არ უწევს კურსის ყველა საფეხურის გავლა, შეუძლია სხვა მოდულიდან გაიაროს შესაბამისი საფეხურის კურსები. ისეთი სტუდენტები, რომლებიც საშემსრულებლო კარიერით არ არიან დაინტერესებულნი, რამდენიმე ინსტრუმენტზე შესრულებას სწავლობენ. სწორედ ამ განსხვავებულ შესაძლებლობას აძლევს როგორც ბრიტანული უნივერსიტეტები, ისე ილიაუნი. განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით ბაკალავრიატის ხანგრძლივობა, არსებობს 3 და 4 წლიანი მოდელები. აქვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია დაწესებულების წარმომადგენელმა რეზო კიკნაძემ. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განსახილველი პროგრამის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ ეს ოთხი დამოუკიდებელი ბლოკი მუდმივ კონტაქტშია ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურა არაა ტრადიციული, წარმომადგენლის მოსაზრებით, მისი ამ ფორმით არსებობა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. საქართველოში მუსიკალური განათლება ძალიან დაბალია, პროგრამის ეს ფორმა კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მუსიკალური პროფესია პირისთვის იყოს მეორე პროფესია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 17:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომა 17:05 სთ.-ზე დატოვა გურანდა ჭელიძემ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ 1.5 და 4.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა მათ მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სტანდარტების შეფასებების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვდით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ 1.4, 4.1 და 4.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა პირველი და მეოთხე სტანდარტების შეფასებები და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კინომცოდნეობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ 2.1 და 4.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან'', განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა მათ მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სტანდარტების შეფასებების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინომცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ 1.5 და 4.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ასევე 2.1 და 4.1 კომპონენტების შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა, მათ მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სტანდარტების შეფასებების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერის საერთო რეკომენდაციები არ ფიქსირდება:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსისთვის განისაზღვროსსწავლის შედეგის მიღწევის დონე (მაგ. ნომერი 1 მიუთითებს კურსის შესავალდონეს -გაცნობას, 2 – გაღრმავებას, 3 – გამტკიცებას) (1.5)
- სასურველია CV- ის შაბლონის შემუშავება, აკადემიური და მოწვეულიპერსონალისთვის,რომელიც მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციასგამოცდილების და კომპეტენციისშესახებ (განათლება, სამუშაო გამოცდილება,გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები,მონაწილეობა ადგილობრივ დასაერთაშორისო კონფერენციებში/ პროექტებში და ა.შ.(4.1)
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, საერთაშორისოშემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში პერსონალის ჩართულობა - საერთაშორისო პრაქტიკისგაცნობისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით.(4.3)

- სასურველია პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის გაზრდა, ასევეანალიზის ჩატარება და ამგვარი საქმიანობის შეფასება. (4.3)
- დოკუმენტები, რომლებიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შედარებასუცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, სასურველია, შეიცავდეს უფროდეტალურ ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად არის ეს პროგრამებისმსგავსი და რა პრაქტიკა გამოიყენება კონკრეტული უცხოურიუნივერსიტეტებიდან. (5.3)

,,კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად:"Bachelor of Film Studies". (1.1)
- რეკომენდებულია, პროგრამაში განისაზღვროს ძირითადისწავლის სფეროსშესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით, პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის - „კინომცოდნეობის ბაკალავრის" შესაბამისად. (1.4)
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების შესაბამისად, მომზადდეს სასწავლოკურსიანიმაციური კინოს შესახებ ან აისახოს შესაბამისი თემატიკა მსოფლიო კინოსისტორიის სასწავლო კურსში. (1.4)

კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსები: 1. „მსოფლიო კინოს ისტორია 1 (კინოსდაბადების წინაპირობები, უხმო კინო, ხმა კინოში)" და „კინოკრიტიკის თეორია დაპრაქტიკა 1(უხმო კინოს ესთეტიკა)" შეისწავლებოდეს პარალელურად, ვინაიდან„მსოფლიო კინოს ისტორია 1"-ით განსაზღვრული კინოპროცესების გაცნობა დაგაანალიზება სტუდენტს გაუადვილებს უხმო კინოს ესთეტიკის აღქმას,სხვადასხვა კინოთეორიების გააზრებას,კინოხელოვნების ბუნების,გამომსახველობის თუ დანიშნულების შესწავლას - „კინოკრიტიკის თეორია დაპრაქტიკა 1"-ის მიზნის შესაბამისად; (1.4)
- იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ ფილმების კრიტიკული შეფასება,აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ კინოში მხატვრობის როლისა დადანიშნულებისყოვლისმომცველი გაგება, ანუ კინემატოგრაფია, ვიზუალური თხრობა. ამიტომ, სასურველია, პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „კინემატოგრაფია"; (1.4)
- სასურველია ხარისხიანი კინოტექნიკის მოწყობა (როგორიცაა პატარა კინოდარბაზი დიდი ეკრანით), სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ უყურონ და პროფესიონალურად შეისწავლონ საჭირო სასწავლო მასალა, ანუ კურსებზე განიხილავენ გარკვეულ ფილმებს, მაღალი ხარისხით; (4.4)
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, ასევე დეტალური შედარებითი ანალიზის მომზადება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით. (5.3)

,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსი „ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ და გასწორდეს უზუსტობა სტუდენტთა საბოლოო შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით; (1.5)
- რეკომენდებულია გადაიხედოს შინაარსი, სასწავლო მასალა და კრედიტების მოცულობა მუსიკალური შესრულების სპეციალობებში - კლავიშებიანი ინსტრუმენტები და კლავესინი; (1.5)
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით მუსიკალური შესრულების მიმართულებებში (კლასიკური ფორტეპიანო, კლავესინი, ჯაზის ვოკალი და ჯაზ ორკესტრი), რეკომენდებულია შესაბამისი მისაღები კრიტერიუმების შემუშავება (მაგ., მუსიკალური რეპერტუარის სახელმძღვანელო, წარმოდგენის ხანგრძლივობა და ა.შ.) და კანდიდატების შეფასება, მათი საშემსრულებლო უნარების გამოვლენის მიზნით; (2.1)
- იმისათვის, რომ დაშვების წესების ფორმულირება ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული იყოს ორ დოკუმენტში (სასწავლო გეგმა და პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები), სასწავლო გეგმის განცხადება უნდა შესწორდეს შემდეგნაირად „შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი უნარების ტესტი, აუდიციის (მოსმენის) ფორმით…“ (2.1)

,,მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- სასურველია პერსონალის შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ამაღლება და გაზრდა, რადგან დოკუმენტაციის განხილვისას გამოიკვეთა გარკვეული პასიურობა სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით; (4.1)
- პროგრამის განვითარებისთვის, სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მისაღწევად, სასურველია მოწვეული პერსონალის გაზრდა (გაფართოება) დარგში შესაბამისი ფორმალური განათლების მქონე პირებით; (4.1)
- სასურველია სტუდენტებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (მაგ., უნივერსიტეტის პერსონალის ზედამხედველობა) ჰქონდეთ კარგად აღჭურვილ ჯაზის ოთახში მეცადინეობის შესაძლებლობა. (4.4)

,,კინომცოდნეობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: “Master of Film Studies”; (1.1)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კრიტიკული წერა“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სახელწოდებით, მიზნით, სწავლის შედეგებით, თემატიკით და სასწავლო რესურსით; (1.4)
- რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერის მომზადება, რათა იგი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს; (1.5)
- რეკომენდებულია, გადამუშავდეს სასწავლო კურსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელშიც გვხვდება მიზნის, სწავლის შედეგების, თემების და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსთან „თანამედროვე კინემატოგრაფი“. (1.5)

,,კინომცოდნეობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უნდა განისაზღვროს, აქვთ თუ არა კანდიდატებს გამოცდიდან გათავისუფლების უფლება, ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში; (2.1)
- სასურველია ხარისხიანი კინოტექნიკის მოწყობა (როგორიცაა პატარა კინოდარბაზი დიდი ეკრანით), სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ უყურონ და პროფესიონალურად შეისწავლონ საჭირო სასწავლო მასალა, ანუ კურსებზე განიხილავენ გარკვეულ ფილმებს, მაღალი ხარისხით; (4.4)
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, ასევე დეტალური შედარებითი ანალიზის მომზადება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით. (5.3)

,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- ეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის დაშვების წინაპირობებს და განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ლოგიკურად. (2.1)
- რეკომენდებულია პროცესის სწორად განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. (4.1)

,,ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- პროგრამის კატალოგში შესული კურსების განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამო, სადაც ზოგიერთი კურსი უფრო ბაკალავრიატის საფეხურისთვისაა შესაფერისი, სასურველია კურსის შინაარსის კრიტიკულად გადახედვადა, სავარაუდოდ, ზოგიერთი საგნის ამოღება, ან უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს ერთწლიანი მოსამზადებელი (საკომპენსაციო) სწავლის ორგანიზება; (1.4)

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ღაღანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი ანდრეას ვენგერი მიესალმა საბჭოს. ექსპერტმა გამოხატა მადლიერება პროცესის ყველა მონაწილის მიმართ და აღნიშნა, რომ პროგრამები საკმაოდ დახვეწილია. ექსპერტის განცხადებით, კურსების სილაბუსები გადამუშავებულ იქნა აკრედიტაციისთვის და დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი ხარისხი დაწესებულების ნამუშევარში. ექსპერტის შეფასებით, დიზაინის პროგრამა ეხება საჯარო და კერძო, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინს და მთლიანობაში, კარგად ზის არქიტექტურისა და სხვა დაკავშირებულ სფეროებს შორის შუალედში. მიუხედავად ამისა, ექსპერტის შეფასებით, პროგრამებს რთულ გარემოში უწევთ მუშაობა. ამან განაპირობა შენიშვნების რეკომენდაციის, და არა რჩევის ფორმით არსებობა. ექსპერტმა სამ სტანდარტზე გაამახვილა ყურადღება, აქედან პირველ ორზე დაწესებულება რეკომენდაციებთან შესაბამისობაშია და შენიშვნები ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს. მესამე სტანდარტის ფარგლებში აღინიშნა ხარვეზები: რეკომენდაციის მიხედვით მობილობა უნდა გაიზარდოს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამაგისტრო ნაშრომებს სამეცნიერო აპარატის ნაწილში. ხაზი გაესვა ციფრული აღჭურვილობის საკითხს, რომ სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაზრდილიყო აღჭურვილობის რაოდენობაც. რეკომენდაცია შეეხო საბიბლიოთეკო სივრცეების განვითარებას, რომელიც შემდეგ რეკომენდაციას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტი კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას საჭიროებს. გარდა ამისა, რეკომენდაცია შეეხო ბიუჯეტის გაზრდას ორივე პროგრამაზე, განსაკუთრებით კი სამაგისტროზე. ეს რეკომენდაციები მესამე და მეოთხე სტანდარტს უკავშირდება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტს სრულიად შეესაბამება აკადემიის მიმდინარე მდგომარეობა. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აკრედიტაციის პროცესის ხელშემშლელი სიტუაცია არ დგას და დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულებისკენ ნაბიჯების გადადგმა არ უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამები საჭიროებენ როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე უნივერსიტეტის მხარდაჭერას, განსაკუთრებით აღჭურვილობისა და რესურსების ნაწილში. დაწესებულება ძირითადად ეთანხმება რეკომენდაციებს და გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები მათი შესრულებისკენ. რჩევით ნაწილზე არ გამახვილდა ყურადღება ექსპერტის მხრიდან, ვინაიდან მას პრიორიტეტულად მიაჩნია რეკომენდაციები.

თავმჯდომარე დაინტერესდა დასკვნაში არსებული რჩევებით, რომელიც ითვალისწინებდა ისეთ საკითხებს, რომლებსაც აქვთ საფუძველი, რომ არ ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს. მსგავსი იყო: ხელოვნური ინტელექტის პლაგიატთან, პედაგოგების პროფესიულ განვითარებასთან და გაახალგაზრდავებასთან, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. ექსპერტ გიორგი ნიკურაძის მიხედვით, უნივერსიტეტის პერსონალი საკმაოდ გათვითცნობიერებულია თანამედროვე ტექნოლოგიებში და თვითონაც აცნობიერებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის საკითხი შესაძლოა გახდეს პრობლემა. შესაბამისად, ექსპერტის აზრით ამ საკითხის მოწესრიგებას დაახლოებით 1 ან 2 წელი დასჭირდება. თავმჯდომარეს სურდა, აღნიშნული საკითხი განეხილა საერთაშორისო ექსპერტს საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. საერთაშორისო ექსპერტის მიხედვით, ჯერჯერობით არ არსებობს კონკრეტული მიდგომა პლაგიატთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. ეს რჩევა რომ ყოფილიყო რეკომენდაცია, ექსპერტები ვალდებულნი იქნებოდნენ გამოეყენებინათ რაიმე მყარი მაგალითი საერთაშორისო პრაქტიკიდან, რაც რეალურად არ არსებობს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა რჩევის სახით. ექსპერტის განმარტებით, გამოცდების ნაწილში მარტივია ხელოვნური ინტელექტის პლაგიატთან ბრძოლა, მაგრამ სხვა დავალებაში მისი აღმოჩენა სირთულეს წარმოადგენს. შვეიცარიის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობს სტუდენტების გულწრფელობაში, რომ მათ ახსნან, თუ როგორ და რა დოზით იქნა ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული მათ ნამუშევრებში. აქედან გამომდინარე, საერთაშორისოდაც აღნიშნულ საკითხზე მიდგომები დასახვეწია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა ქუთათელიძემ აღნიშნა, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით არსებობს ცნობების მიღების საშუალებები უნივერსიტეტში. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და ახსენა, რომ ზოგიერთ საკითხზე პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო. ძირითადად დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციებს და წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ უნივერსიტეტი იმუშავებს მათ სრულყოფილ შესრულებაზე. კვლევის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას და დაიგეგმა კონკრეტული ქმედებები, რომელთა განხორციელებითაც რეკომენდაცია შესრულდება სრულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რეკომენდაციის მიხედვით პედაგოგიური პერსონალისთვის ბიუჯეტი უნდა გაზრდილიყო, საბჭო დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა საჭიროებდა მეტ ბიუჯეტს. ექსპერტ გიორგი ნიკურაძის მიხედვით პერსონალს არ აქვს ღირსეული ანაზღაურება და ასევე, სტატიების გამოქვეყნება არსებული ანაზღაურების გათვალისწინებით ღირს ძალიან ძვირი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:38
დასრულების დრო: 17:51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 3.1 და 3.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 3.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდელია ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაიზარდოს ფაკულტეტის ციფრული აღჭურვილობა აპარატურით და პროგრამული უზრუნველყოფით. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ყველაზე თანამედროვე სამუშაო გარემო CAAD- ისა (კომპიუტერული არქიტექტურული დიზაინი - ComputerAidedArchitecturalDesign) და ვიზუალიზაციის პროგრამებისთვის, განსაკუთრებით გაფართოებული და ვირტუალური რეალობის აპლიკაციების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- რეკომენდებულია აკადემიამ პრიორიტეტად მიიჩნიოს ბიბლიოთეკის განახლება/რეკონსტრუქცია და შექმნას სივრცე სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში სამუშაოდ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის; (4.4)
- რეკომენდებულია გაიზარდოს ბიუჯეტი კონკრეტული პედაგოგიური პერსონალისთვის (პროგრამის აკადემიური პერსონალისთვის) ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის; ეს ეხება ინტერიერის დიზაინის დარგში პროფესორებს, განსაკუთრებით მაგისტრატურაში (იხ. 4.1).(4.5)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მდგრადობის კრიტერიუმებზე. ამ კუთხით სასარგებლო იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2030 და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs), რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ინტერიერის დიზაინი განსაკუთრებით ახასიათებს, საშუალებას აძლევს და აყალიბებს საზოგადოებებში სოციალურ პროცესებს. დიზაინის პრაქტიკის სწავლებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მატერიალური, ენერგეტიკული და სოციალური პროცესები, რომლებზეც გავლენას ახდენს ან აყალიბებს ინტერიერის დიზაინი. (1.1)
- პრაქტიკული კურსების პროცესში, კლასტერის სხვა პროგრამებთან ერთად სასურველია ინტერდისციპლინური პროექტების შემუშავება; (2.2)
- სასურველია კრეატიულობის გაზრდა მშენებლობისა და ტექნოლოგიებისგათვალისწინებით, ინტერიერის დიზაინში სხვადასხვა მასალებისა და ხელსაწყოებისგაერთიანება რთული მიდგომების გამოყენებით;(2.2)

- სასურველია ინტერიერის დიზაინის სფეროში კომპანიებთან პროფესიულიურთიერთობების შემდგომი გაფართოება;(2.2)
- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ზოგადად კვლევით პროექტებში;გაიზარდოს მათი ჩართულობა ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობისსაფუძველზე კვლევით პროექტებში;(2.2)
- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა თეორიულ კვლევით პროექტებში;მიმდინარე პროექტების რეალურ პრაქტიკაზე დამყარების უზრუნველყოფა, პროექტისაქტივობებში სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა;(2.2)
- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში აღწერილი სამუშაო ასახავს მხოლოდ დიზაინის მიდგომებს და მასში არ არის ასახული არც ტექნოლოგიური პროცესი და არც განათლების ახალი ფორმები; (2.3)
- კლასტერული პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოსპროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გავლილ ტრენინგთან/საგანმანათლებლო მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგის შინაარსი; (2.3)
- სასურველია, საერთაშორისო მობილობის გაზრდა და გაცვლითი პროგრამების დამატება; (3.1.)
- სასურველია, ხშირად დაიგეგმოს სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. (3.1)
- სასურველია გაიზარდოს და გაახალგაზრდავდეს კონკრეტული პედაგოგიური პერსონალიინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, განსაკუთრებითპროფესურა ინტერიერის დიზაინის მიმართულებით (იხ. სტანდარტი 4.5). (4.1)
- სასურველია, გაუმჯობესდეს პედაგოგების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.მათ უნდა იგრძნონ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა საუკეთესოდმოირგონ თავიანთიპედაგოგიური როლი. (4.3)
- უნდა გაუმჯობესდეს საფაკულტეტო ფინანსური რესურსები მიმდინარე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, კერძოდ სასწავლო მასალების, სახარჯო მასალებისა თუ ხელსაწყოების, ექსკურსიების, გარე ლექციებისა და წიგნების შესაძენად. (4.5)

"ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები და რჩევები არ ფიქსირდება.

"ინტერიერის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას, განსაკუთრებით სამეცნიერო აპარატის და აკადემიური წერის სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით, რათა საკვალიფიკაციო ნაშრომმა შესაბამისი ფორმა მიიღოს; (3.2)
- ნაშრომებში აღნიშნული მიმართულებით ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად რეკომენდებულია აკადემიური წერის უნარ-ჩვევების და მასთან ერთად დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების სწავლება სამაგისტრო დონეზე. (3.2)

"ინტერიერის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პერსონალი ყურადღებით იყოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ პლაგიატის საკითხებთან. (4.2)

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა სალითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 19 დეკემბრის 17:55 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი